საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის ნავთობის საბადოები

თბილისის ნავთობის საბადოები, ნავთობის გამოვლინებები თბილისის მიდამოებში ძველთაგანვე იყო ცნობილი, რაც აისახა კიდეც ერთ-ერთი უბნის (შუა საუკუნეებში საგარეუბნო სოფელი) ნავთლუღის სახელწოდებაში. „ტფილისის სამჴრ-აღმოსავლით არს ნავთლუხი. მუნ დის ნავთი კიდესა მტკურისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არ აიღების", – წერს ვახუშტი ბატონიშვილი (XVII ს.) თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა".

ნავთობის გეოლ. კვლევა საქართველოში, მ. შ. თბილისში, დაიწყო XIX ს. 60-იანი წლებიდან, კავკ. სამთო სამმართველოს დაარსების შემდეგ. 1881 სამთო ინჟინერმა გ. გ. წულუკიძემ ძებნა-ძიებითი სამუშაოები ჩაატარა ნავთლუღის მიდამოებში. XX ს. 30-იანი წლებიდან გეგმაზომიერ და სისტემ. გეოლ.-საძიებო სამუშაოებს ატარებდა ტრესტი „საქნავთობი". თბილ. მიდამოებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩენილი და შესწავლილია რამდენიმე საბადო. თბილ. ნავთობ-აირიანი რ-ნის საბადოების წილად მოდის საქართველოში 1930-ის შემდეგ მთლიანად მოპოვებული ნავთობის უდიდესი ნაწილი. იხ. აგრეთვე სტ. ნავთობის საბადოები.

ლიტ.: თბილისი. ენციკლოპედია, თბ., 2002.

ვ. ზესაშვილი